საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030431271190420

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/9015 **14 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

სააგენტოს ესაჭიროება ფარმაცევტული პროდუქტი „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის შეძენა. (გამარტივენული შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, კახა ჩხარტიშვილის N04-3454 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა ფარმაცევტული პროდუქტი „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ა) CPV კოდი 33600000 (რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 27; შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი) საჭიროა დაკორექტირდეს და მისი ღირებულება განისაზღვროს 10 150 025 ლარით.

ბ) ასევე გეგმას დაემატა CPV კოდი 33600000 (ფარმაცევტული პროდუქტები); რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 34) და მისი ღირებულება განისაზღვრა 27 823 ლარით. ((გამარტივენული შესყიდვა ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობით).

სააგენტოს ესაჭიროება ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ სახელმწიფო პროგრამის ჰემოდიალიზის კომპონენტით მოსარგებლე პაციენტთა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება (ქ.თბილისის მასშტაბით, 8 სამედიცინო დაწესებულებებში - კვირაში სამჯერ). (გამარტივენული შესყიდვა ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობით) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის გიორგი წოწკოლაურის ბრძანების N04-215/ო თანახმად, საჭიროა ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ სახელმწიფო პროგრამის ჰემოდიალიზის კომპონენტით მოსარგებლე პაციენტთა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება (ქ.თბილისის მასშტაბით, 8 სამედიცინო დაწესებულებებში - კვირაში სამჯერ) შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 60100000 (საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები); რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 46) და მისი ღირებულება განისაზღვრა 35 000 ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე